

განმარტებები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განმარტებები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის რეკომენდაციებზე:

1. ქვეპროგრამა „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 04 02 01):

- ღონისძიება „ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა“;
- ღონისძიება „საერთაშორისო პრაქტიკა - მონაწილეობის მხარდაჭერა“

რეკომენდაცია:

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან მხოლოდ ახალგაზრდები (18-29 წლის) და ქვეპროგრამით ხორციელდება მათი მხარდაჭერა პროფესიული წინსვლა - განვითარებისა და გამოცდილების, უნარ-ჩვევების, კომპეტენციების და კარიერული ზრდის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხსენებული ქვეპროგრამა განათლების პროგრამიდან, გადატანილი იქნეს ახალგაზრდობის მიმართულებით არსებულ პროგრამაში „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 05 06) როგორც ქვეპროგრამა (ან ღონისძიება) „კარიერული განვითარება - დასაქმების ხელშეწყობა“ და განხორციელდეს ინფორმაციულ-ტექსტობრივი დაზუსტებები. მ.შ. ღონისძიებებთან მიმართებაში.

რეაგირება:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური, მხარს უჭერს რეკომენდაციის გათვალისწინებას და დაიწყებს პროცედურას, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების (2024-2027წ.წ) დოკუმენტში დაზუსტების თვალსაზრისით, შემდგომში, აღნიშნული ცვლილების განხორციელების მიზნით.

2. ქვეპროგრამა „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის“ (04 02 02)

რეკომენდაცია:

ქვეპროგრამის აღწერაში: „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ და „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“, - განხორციელდეს ინფორმაციულ-ტექსტობრივი დაზუსტებები.

რეაგირება:

გათვალისწინებულია

3. ქვეპროგრამა „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ (05 03 04)

რეკომენდაცია:

ქვეპროგრამის აღწერაში: განხორციელდეს ინფორმაციულ-ტექსტობრივი დაზუსტებები.

რეაგირება:

გათვალისწინებულია

4. „ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასის ფუნქციონირების ხელშეწყობა“ (05 06 01)

რეკომენდაცია:

4.1 ხელნაკეთობების დამზადებით დაინტერესებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არ მქონე ახალგაზრდებისათვის, სპეციალისტის დახმარებით, კრეატიულ ხელნაკეთობებს შექმნის მიზნით, განხილულ იქნეს „ხელსაქმის (კრაფტ) ინკლუზიური კლუბის“, - ფუნქციონირების უზრუნველყოფა (დაფინანსება);

4.2 ზოგადად, გადაიხედოს „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“ (05 06) პროგრამების ღონისძიებებით გათვალისწინებული თანხების მოცულობები არსებული ასიგნებების ფარგლებში და განხორციელდეს დაზუსტებები მ.შ. ღონისძიებებთან მიმართებაში.

4.3 ა(ა)იპ კულტურის ცენტრთან ერთად, განიხილოს თეატრალური დასის სტუდიური (ან სხვა სახით) მუშაობის ორგანიზების საკითხი.

რეაგირება:

4.1 გათვალისწინებულია;

4.2 გათვალისწინებულია;

4.3 გათვალისწინებულია (სახელმწიფო შესყიდვების წესით, 3 ინკლუზიური სპექტაკლების დადგმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე ახალგაზრდების კულტურულ ცხოვრებაში ჩართვა და ინტეგრაციის მიზნით).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეკომენდაციებზე:

1. რეკომენდაცია:

„...ვაუჩერები უნდა მიეცეს ბათუმში ყველა ბავშვს, რომლის გამოყენებაც მათ როგორც საჯარო, ასევე კემო ბაღებშიც შეეძლებათ.“

რეაგირება:

საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ აწესრიგებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ადგენს მათი დაფუძნების, საქმიანობისა და ანგარიშვალდებულების წესს, აგრეთვე მათი ავტორიზაციის სავალდებულოობას. ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, აგრეთვე, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსების პრინციპებს, ასევე, სავალდებულო ავტორიზაციის პროცედურის გავლას (კერძო და მუნიციპალური ბაღებთან მიმართებაში). ავტორიზაციის მიზნებისათვის გარდამავალ პერიოდად ითვლება პერიოდი 2030 წლის 1 იანვრამდე. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა ავტორიზაციის დასრულების შემდეგ (ან პროცესში შუალედური შედეგებიდან გამომდინარე/მიხედვით), განხილულ იქნება ვაუჩერიზაციის შემოღების აუცილებლობა (მ.შ. მუნიციპალურ და კერძო სექტორში). ამასთან, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს მომზადებული/წარდგენილი აქვს ვაუჩერიზაციის (ბაღები/სპორტი) სამუშაო ვერსია/პროექტი ჯერ კიდევ 2017 წელს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ აკაკი გვიანიძის რეკომენდაციებზე:

1. რეკომენდაცია:

„...შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს, მუნიციპალიტეტმა უნდა დაანერგოს ვაუჩერული სისტემა, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელი იქნება, როგორც საჯარო, ასევე კერძო ბაღებში, მსგავსად სკოლების ვაუჩერიზაციის სახელმწიფო პროგრამისა. ვაუჩერი სრულად დაფარავს საჯარო ბაღების მომსახურების საფასურს, კერძო ბაღების შემთხვევაში კი მინიმუმ

გადასახადის ნაწილს, აღნიშნული რეფორმა გაზრდის კერძო ბაღების რაოდენობას, ხელს შეუწყობს კონკურენციას, შესაბამისად, სერვისის ხარისხის ზრდას და კერძო ბაღებში საფასურის შემცირებას, ისევე, როგორც ბაღებს მიღმა დარჩენილ ბავშვთა რაოდენობას.“

რეაგირება:

საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ აწესრიგებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ადგენს მათი დაფუძნების, საქმიანობისა და ანგარიშვალდებულების წესს, აგრეთვე მათი ავტორიზაციის სავალდებულოობას. ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, აგრეთვე, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსების პრინციპებს, ასევე, სავალდებულო ავტორიზაციის პროცედურის გავლას (კერძო და მუნიციპალური ბაღებთან მიმართებაში). ავტორიზაციის მიზნებისათვის გარდამავალ პერიოდად ითვლება პერიოდი 2030 წლის 1 იანვრამდე. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა ავტორიზაციის დასრულების შემდეგ (ან პროცესში შუალედური შედეგებიდან გამომდინარე/მიხედვით), განხილულ იქნება ვაუჩერიზაციის შემოღების აუცილებლობა (მ.შ. მუნიციპალურ და კერძო სექტორში). ამასთან, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს მომზადებული/წარდგენილი აქვს ვაუჩერიზაციის (ბაღები/სპორტი) სამუშაო ვერსია/პროექტი ჯერ კიდევ 2017 წელს.

2. რეკომენდაცია:

„... შემუშავდეს ახალი ქვეპროგრამები, რომლებიც შეუწყობენ ხელს ადგილობრივი სტუდენტებს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლაში. მნიშვნელოვანია ისეთი ქვეპროგრამის შექმნა, რომლითაც დაფინანსდებიან ის სტუდენტები, რომლებიც ისწავლიან წამყვან უნივერსიტეტებში.“

რეაგირება:

ამ ეტაპზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ქვეპროგრამა „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ (კლასიფიკაციის კოდი: 04 02 02), ღონისძიება „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“, - საპილოტე პროექტი, რომელიც წელს პირველად განხორციელდა და სრულყოფის პროცესშია. შესაბამისად, გათვალისწინებული იქნება ყველა შენიშვნა/მოსაზრებები, რაც სასიკეთოა და სასარგებლოა ახალგაზრდებისათვის.

3. რეკომენდაცია:

„... არ არის გათვალისწინებული ახალგაზრდული ცენტრების ახალი სივრცეების მოწყობა. ქალაქის ცენტრალური უბნების განტვირთვა, გარეუბნებში მიზიდულობის ახალი ცენტრების გაჩენის გზით და ქალაქის ყველა უბნის თაბნაბარი განვითარებისათვის აუცილებელია ახალი ცენტრების მშენებლობა ე.წ. „შემოერთებულ ტერიტორიებზე“.“

რეაგირება: ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“ პროგრამის თანახმად 2025-2026 წლებში მოაზრებულია ქალაქის გარეუბნებში 4 ახალგაზრდული სივრცის მოწყობა. ამასთან, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG), ევროკავშირისგან მიღებული გრანტის ფარგლებში, შექმნილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის “ტრანსფორმაციის პორტფელის” პროექტში, სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობისა და ახალგაზრდების ინოვაციური ტექნოლოგიებითა და სტარტაპით დაინტერესების მიზნით, 2023 წელს, დაგეგმილია ახალი სივრცის გამოყოფა, მოწყობა და ფუნქციონირება, სადაც სტარტაპისა და ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ საგანმანათლებლო ტრენინგების გარდა, მოეწყობა საერთო სამუშაო სივრცე (Co-working Space) და უზრუნველყოფილი იქნება სფეროში წარმატებული პოზიციონირების მქონე

სტარტაპებისა და სპიკერების მოწვევაც. აღნიშნული ახალი სივრცის არსებობა, ხელს შეუწყობს სტარტაპ თემისა და ქსელის განვითარებას და საერთო ჯამში, სივრცის არსებობა თავისი კონცეფციით, პოზიტიურ გავლენას იქონიებს ახალგაზრდებში სტარტაპით დაინტერესებისა და ამ მიმართულებით, კომპეტენციების დაუფლების თვალსაზრისით, რაც მომავალში, ახალგაზრდების ეკონომიკურ გაძლიერებაზე აისახება.

5. რეკომენდაცია:

„მიზანშეწონილია, მოხდეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ამ იურიდიული პირების ლიკვიდაცია და მათი შერწყმა ა(ა)იპ „სპორტულ ცენტრთან“.“

რეაგირება:

პროცესი დაწყებულია (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინა სხდომაზე, მიღებულ იქნა თანხმობა შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმის“ ლიკვიდაციის თაობაზე, სტრუქტურული და ფინანსური ოპტიმიზაციის მიზნით).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ რევაზ ხარაზის რეკომენდაციებზე:

1. რეკომენდაცია:

„...საბავშვო ბაღების ვაუჩერიზაცია.“

რეაგირება:

საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ აწესრიგებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ადგენს მათი დაფუძნების, საქმიანობისა და ანგარიშვალდებულების წესს, აგრეთვე მათი ავტორიზაციის სავალდებულოობას. ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, აგრეთვე, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსების პრინციპებს, ასევე, სავალდებულო ავტორიზაციის პროცედურის გავლას (კერძო და მუნიციპალური ბაღებთან მიმართებაში). ავტორიზაციის მიზნებისათვის გარდამავალ პერიოდად ითვლება პერიოდი 2030 წლის 1 იანვრამდე. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა ავტორიზაციის დასრულების შემდეგ (ან პროცესში შუალედური შედეგებიდან გამომდინარე/მიხედვით), განხილულ იქნება ვაუჩერიზაციის შემოღების აუცილებლობა (მ.შ. მუნიციპალურ და კერძო სექტორში). ამასთან, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს მომზადებული/წარდგენილი აქვს ვაუჩერიზაციის (ბაღები/სპორტი) სამუშაო ვერსია/პროექტი ჯერ კიდევ 2017 წელს.

1. რეკომენდაცია:

„...შემუშავდეს პროგრამა ბათუმელი სტუდენტებისათვის.“

რეაგირება:

ქვეპროგრამა „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში, გათვალისწინებულია:

- ღონისძიება „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“;
- ღონისძიება „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“;

რომლებიც ითვალისწინებს ახალგაზრდების ხელშეწყობას, მოტივაციის ამაღლებას, წახალისებას მათ შორის ფინანსურ-ეკონომიკური გაძლიერების მიზნით (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, საზღვარგარეთ).

განმარტებები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე:

ა(ა) იპ -საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს განმარტებები

ქ. ბათუმის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის შენიშვნები:

1 კონსტიტუციისა და ცოტნე დადიანის ქუჩის კეთილმოწყობა-პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

2 ი. გოგოლის ქუჩის კეთილმოწყობა-პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული ქუჩის მონაკვეთი, კერძოდ ნონეშვილის ქუჩიდან სევერიან აჭარელის ქუჩამდე კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდა 2021 წელს. რაც შეეხება მონაკვეთს სევერიან აჭარელის ქუჩიდან სერგი მესხის ქუჩამდე - მიეცემა დავალება საპროექტოს და დაპროექტების შემდგომ იქნება გათვალისწინებული შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტში.

3 გონიოს დასახლებაში აფსაროსის და ანდრიაპირველწოდებულის ქუჩებზე უსაფრთხოების მიზნით, ტროტუარის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი მიეკუთვნება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კომპეტენციას.

4 ფრიდონ ხალვაშის მე-6 შესახვევში ტროტუარის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

5 გაგარინის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია-პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ლეონიძის ქუჩის რეაბილიტაცია (მათ შორის სანიაღვრე არხის მოწყობა) მხოლოდ აღნიშნული პროექტის დასრულების შემდგომ გახდება შესაძლებელი გაგარინის ქუჩის სანიაღვრე არხის დაპროექტება და შემდეგ მოწყობა.

6 შ. დადიანის ქუჩის, ს. მესხის და რ. ერისთავის ქუჩებს შორის მონაკვეთზე სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

7 აღმაშენებლის ქ N15-ში სკვერის რეაბილიტაცია-პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

8 აღმაშენებლის ქ N18-ში სკვერის მოწყობა, რეაბილიტაცია -პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

9 რურუას ქ N13-ში სკვერის რეაბილიტაცია- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

10 შ. ხიმშიაშვილის ქ N27-ში სკვერის მოწყობა, რეაბილიტაცია- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

11 კობალაძის ქ N4-ში სკვერის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

12 გენერალ ასლან აბაშიძის ქ N22-ში სკვერის მოწყობა- შესყიდული გვაქვს პროექტი (ქ. ბათუმი, ა. აბაშიძის ქ. N22 (ს/კ 05.26.02.109) სკვერის მოწყობა) 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ვერ მოხდა აღნიშნული მისამართის გათვალისწინება. გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტში შესაძლებლობის შესაბამისად.

13 პ. მელიქიშვილის მე-3 შესახვევი, N21-ში სკვერის მოწყობა- შესყიდული გვაქვს პროექტი (ქ. ბათუმი, მელიქიშვილის მე-3 შესახვევი N21 (ს/კ 05.26.27.013) სკვერის მოწყობა) 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ვერ მოხდა აღნიშნული მისამართის გათვალისწინება. გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტში შესაძლებლობის შესაბამისად.

14 ჰ. აბაშიძის ქუჩა N64-ში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა - პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

15 უსაფრთხოების მიზნით ფრიდონ ხალვაშის მე-6 შესახვევში და ქ. ბათუმში არსებულ სხვა საბავშვო ატრაქციონებზე ღობის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

ქ. ბათუმის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

რევაზ ხარაზის შენიშვნები:

1 ძველი ბათუმის, რუსთაველის ადმინისტრაციული ერთეული, ინასარიძისა და კობალაძის მიმდებარე ტერიტორია; ადლიის დასახლება-ახალი ბულვარის მიმდებარედ ახალი საპარკინგე სივრცეების მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საპარკინგე სივრცეების მოწყობა ცალკეულ ღონისძიებად ქვეპროგრამებით არ არის გათვალისწინებული, ქუჩების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობის პროექტების

განხორციელების პროცესში მაქსიმალურად ვითვალისწინებთ საპარკინგე ადგილების გამოყოფას და მოწყობას. ცალკეული საპარკინგე სივრცეების მშენებლობის საკითხის შესწავლა მოხდება ქალაქის არქიტექტურის და ქონების მართვის სამსახურებთან ერთად და შემუშავდება მიდგომა აღნიშნული მიმართულების განვითარების მიზნით.

2 ფარნავაზ მეფის ქუჩის შეერთება ფიროსმანის ქუჩაზე- პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული ქუჩების შეერთების საკითხი ამ ეტაპზე არ განიხილება, რადგან მონაკვეთი წარმოადგენს კერძო საკუთრებებს. გამოსყიდვის საკითხების გადაწყვეტის შემდგომ მოხდება საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

3 გ. ლეონიძის ქუჩის გაგრძელება ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობამდე და შეერთება ხულოს მაგისტრალზე (ახალი გზის მშენებლობა)- პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წელს დაგეგმილია გ. ლეონიძის ქუჩის არსებული მონაკვეთის რეაბილიტაცია. საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად შესწავლილი იქნება ქუჩის გაგრძელების საკითხი.

4 ბარცხანის დასახლებიდან თამარის დასახლებაში არსებული გადასასვლელი გზის ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება და ქუჩების გაფართოება, არსებული ხიდის რეაბილიტაცია-პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება აღნიშნული გზის ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესაძლებლობის შესწავლა და შემდგომ დაპროექტება.

5 ქეთევან წამებულის მე-2 ჩიხის დაკავშირება ახალი ქუჩით ბაგრატიონის ქუჩასთან- პასუხად გაცნობებთ, რომ ამ მონაკვეთზე მცხოვრებ მოსახლეთა შორის მიმდინარეობს კერძო დავები, რაც აფერხებს აღნიშნული საკითხის მოგვარებას.

6 ადლიის დასახლებაში გზებისა და ინფრასტრუქტურის დაპროექტება, საპარკინგე სივრცის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ ადლიის დასახლებაში 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა, ასევე სკვერები და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისიეები.

7 გონიო-კვარიათის სანაპირო ზოლის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (გზები, პარკინგი, სკამები და სხვა ინვენტარი, სანაგვე ურნები, საშხაპეები და ა.შ) - პასუხად გაცნობებთ, რომ ეტაპობრივად მიმდინარეობს აღნიშნული სამუშაოები, კერძოდ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია აღნიშნულ მონაკვეთზე გარე განათების სისტემის მოწესრიგება, სანიღვრე არხის მოწყობა და სხვა.

8 ბათუმის ნავსადგურის (საბაგირო გზის) მიმდებარე ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია- პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წლის ბიუჯეტით აღნიშნული სამუშაოების განხორციელება არ იგეგმება.

9 ბათუმის შემოსასვლელი ესტაკადის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება- პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული სამუშაოები არ იგეგმება.

10 ბარცხანის ხიდის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (სკვერი,ველობილიკი და საპარკინგე სივრცე)- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

11 თამარის, ბარცხანისა და ადლიის დასახლებაში არსებული მდინარეების გასწვრივ სარეკრეაციო დასასვენებელი სივრცეების მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხი იქნება მოკვლეული.

12 გოგებაშვილის ქუჩაზე კათოლიკური ეკლესიის მიმდებარედ მიწისქვეშა პარკირება და არსებული სკვერის კეთილმოწყობა -პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით აღნიშნული სამუშაოების განხორციელება არ იგეგმება.

13 ბაგრატიონის ქუჩაზე სელიმ ხიმშაშვილის ქუჩიდან გმირთა ხეივანამდე არსებულ გამყოფზოლში სარეკრეაციო- დასასვენებელი სივრცის მოწყობა -პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული ღონისძიების წინასაპროექტო მოკვლევა გაკეთებულია და 2023-ში განხორციელდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

14 გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე (ოძელაშვილის ქუჩიდან ლერმონტოვის ქუჩამდე) არსებული გზის გამყოფი სკვერის კეთილმოწყობა (ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ბილიკი, ატრაქციონები და სკვერისათვის საჭირო ინვენტარი) -პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული ღონისძიების წინასაპროექტო მოკვლევა გაკეთებულია და 2023-ში განხორციელდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

15 არსებული ველობილიკების სრული რეაბილიტაცია, ახალი ველოგზების მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია და მიმდინარეობს ქ. ბათუმის ქუჩებში დაზიანებული ველობილიკების, ფილების და ბორდიურების სარემონტო სამუშაოები.

16 მიუსაფარი ძაღლებისათვის თავშესაფრის აშენება და არსებული პროგრამის გაფართოვება- პასუხად გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ჩაქვის სარეკრეაციო ზონის დაპროექტების სამუშაოები, რომელიც მოიცავს მიუსაფარ ცხოველებისთვის თავშესაფარის მოწყობასაც.

ქ. ბათუმის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნაზი ფუტყარაძის შენიშვნები:

1 კაზინეცის ქუჩიდან ოდისეი დიმიტრიადის, აგრეთვე ზღვის სანაპიროზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობა-პასუხად გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს მოკვლევითი სამუშაოები თამარის დასახლებიდან გონიო-კვარიათამდე რამოდენიმე ლოკაციაზე გადასასვლელი ხიდების მოწყობასთან დაკავშირებით.

2 თამარის დასახლებაში N40 ავარიულ ბარაკებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები მოითხოვენ ბინებს N22 ბარაკის ადგილას, ავარიული სახლების პროგრამით ან ახლომდებარე მშენებარე კორპუსში-პასუხად გაცნობებთ, რომ თამარის დასახლება N22დან განიხილება თამარის დასახლება N40-ში, ავარიული სახლების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე მშენებარე სახლში სოციალურად დაუცველი ოჯახების გადაყვანა.

3 მაგნოლიის ქ N1 სახლზე მომდგარია ეროზირებული მიწა, წაქცეულია ელექტრო გაყვანილობის ბოძი, რაც ქმნის იქ მაცხოვრებელთათვის სიცოცხლისთვის საშიშროებას- პასუხად გაცნობებთ, რომ სათანადო მოკვლევის შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში მოხდება ფერდსამაგრი კედლის მოწყობა.

4 დაუსრულებელია ჩაქვის შემოერთებულ ტერიტორიაზე მამია გოგოლიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია- პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული ღონისძიების განხორციელება არ იგეგმება 2023 წელს. მომდევნო წლებში ეტაპობრივად მოხდება დაპროექტება და შემდგომ სარეაბილიტაციო სამუშაოები.

5 სამუშაოებია ჩასატარებელი მარკოზ აჭარელის ქუჩაზე; ვიცით, რომ მიმდინარეობს მარკოზ აჭარელის მე-4 შესახვევის კეთილმოწყობა, მაგრამ არ გაკეთებულა სანიაღვრე შესახვევის დასაწყისში, სადაც ძლიერი წვიმის დროს მოედინება დიდი ნიაღვარი; ასევე მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეები მოითხოვენ აქვე მდებარე თავისუფალ ტერიტორიაზე ატრაქციონისა და სკვეის მოწყობას- პასუხად გაცნობებთ, რომ მარკოზ აჭარელის მე-4 შესახვევის დარჩენილ მონაკვეთში (შესახვევის დასაწყისში) მიმდინარეობს სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები; რაც მოაგვარებს აღნიშნულ პრობლემას. ხოლო, რაც შეეხება სკვერისა და ატრაქციონის მოწყობას მოხდება საკითის შესწავლა, შემდგომი დაპროექტების მიზნით.

6 ბადის ქ. N2-ში სკვერისა და ატრაქციონის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

7 ნობელების ქუჩის I შესახვევში სკვერისა და ატრაქციონის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

8 ნობელების ქუჩაზე სპორტული მოედნის გვერდით ატრაქციონის განთავსება, შესაბამისი ინფრასტრუქტურით - პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

9 სპორტული მოედნის მოწყობა, თამარის დასახლება N5 და N6 სახლებს მიმდებარედ- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

10 ისრაფილ ჯინჭარაძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

11 ნობელების ქუჩის II შესახვევში განათების ორი ბოძის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

**ქ. ბათუმის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
"ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო"-ს შენიშვნები:**

1 ქ. ბათუმის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მიმდებარედ ბათუმის დინამოს სკვერის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს 2023 წელს.

**ქ. ბათუმის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვაჟა დარჩია,
პარტია "ლელო საქართველოსთვის" შენიშვნები:**

1 საცობებისა და ავარიული სიტუაციების აღმოსაფხვრელად ქვეითთა საფეხმავლო (ადაპტირებული) ხიდის მოწყობა (რუსთაველის ქუჩაზე დელფინარიუმის მიმდებარედ) და ანალოგიური საფეხმავლო ხიდის მოწყობა "ანგისის" საფეხბურთო ბაზის მიმდებარედ- პასუხად გაცნობებთ, რომ თამარის დასახლებიდან გონიო-კვარიათამდე შერჩეულ რამოდენიმე ლოკაციაზე იგეგმება საფეხმავლო გადასასვლელი ხიდების მოწყობა.

2 მაწანწალა ძაღლებისათვის თვშესაფრის აშენება- პასუხად გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ჩაქვის სარეკრეაციო ზონის დაპროექტების სამუშაოები რომელიც მოიცავს მიუსაფარ ცხოველებისთვის თავშესაფარის მოწყობასაც.

3 წვიმის დროს პარალიზებულია ქალაქი, არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად სანიაღვრე მილების შეცვლისათვის გაიზარდოს მიმდინარე წლის ბიუჯეტში თანხა- პასუხად გაცნობებთ, რომსაქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული აქვს 9 ლოკაციაზე სანიაღვრე არხების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოები.

4 ძველი ბათუმის ტერიტორიაზე სპორტული მოედნის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ ჩატარდება კვლევა სათანადო ლოკაციის მოძიების მიზნით და საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

ქ. ბათუმის, მუნიციპალიტეტის საკრებულო

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს შენიშვნები:

1 ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობისათვის გაჩნდეს ახალი მიწისქვეშა და მაღლივი პარკირებები-პასუხად გაცნობებთ,რომ დაგეგმილია აღნიშნული მიმართულებით ქალაქის არქიტექტურის და ქონების მართვის სამსახურებთან ერთობლივად მოკვლევების ჩატარება და შესაბამისი ლოკაციების გამონახვა.

2 ახალი ქუჩების მოწყობა: ქათმადის ქუჩის გაგრძელება თამარის დასახლებამდე და ფარნავაზ მეფის ქუჩის გაგრძელება ჯავახიშვილის ქუჩამდე- პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული ქუჩების შეერთების საკითხი ამ ეტაპზე არ განიხილება, რადგან მონაკვეთი წარმოადგენს კერძო საკუთრებებს. გამოსყიდვის საკითხის გადაწყვეტის შემდგომ მოხდება აღნიშნული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესაძლებლობის შესწავლა და შემდგომ დაპროექტება.

3 საბინაო ამხანაგობის პროგრამაში გასათვალისწინებელია სადარბაზოების კეთილმოწყობა (ამორტიზირებული მოაჯირეებისა და კიბეების რეაბილიტაცია)- პასუხად გაცნობებთ, რომ არ იგეგმება 2023 წელს.

4 იმ უბნებში სადაც ბაღები არ არის აშენდეს და გაგრძელდეს უკვე არსებულის რეაბილიტაცია-პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 3 ბაღის მინდინარე მშენებლობების დასრულება, კიდევ 3 ახალი ბაღის მშენებლობა და 4 ბაღის რეაბილიტაცია.

5 დაანონსებული ცენტრალური პარკის განაშენიანება (აგრეთვე საბაგიროს მოწყობა) ლეონიძის ქუჩაზე, ურეხისა და ე.წ სტეფანოვკის დასახლებაში, რომელიც დაუკავშირდება არგოს მთას - პასუხად გაცნობებთ, რომ სამმართველოს აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილი არ აქვს

6 26 მაისისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთში არსებული სკვერის რეაბილიტაცია- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

7 ჩოლოყაშვილის ქუჩაზე არსებული სოციალური სახლის ეზოში მინი სტადიონისა და საბავშვო ატრაქციონის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

8 ბაგრატიონის N111-ში საბავშვო ატრაქციონის დადგმა და ეზოს მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმში, პ. ბაგრატიონის #111 -ის ეზოში საბავშვო ატრაქციონების რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები, დასრულდა 2021 წელს.

9 კაზინეცის ქუჩიდან ოდისეი დიმიტრიადის, აგრეთვე ზღვის სანაპიროზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობა- პასუხად გაცნობებთ, რომ თამარის დასახლებიდან გონიო-კვარიათამდე შერჩეულ რამოდენიმე ლოკაციაზე იგეგმება საფეხმავლო გადასასვლელი ხიდების მოწყობა

10 მამია გოგოლიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია- პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული ღონისძიების განხორციელება არ იგეგმება 2023 წელს. მომდევნო წლებში ეტაპობრივად მოხდება დაპროექტება და შემდგომ რეაბილიტაცია.

11 სამუშაოებია ჩასატარებელი მარკოზ აჭარელის ქუჩაზე; ვიცით, რომ მიმდინარეობს მარკოზ აჭარელის მე-4 შესახვევის კეთილმოწყობა, მაგრამ არ გაკეთებულა სანიაღვრე შესახვევის დასაწყისში, სადაც ძლიერი წვიმის დროს მოედინება დიდი ნიაღვარი; ასევე მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეები მოითხოვენ აქვე მდებარე თავისუფალ ტერიტორიაზე ატრაქციონისა და სკვეის მოწყობას- პასუხად გაცნობებთ, რომ მარკოზ აჭარელის მე-4 შესახვევის დარჩენილ მონაკვეთში (შესახვევის დასაწყისში) მიმდინარეობს სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები; რაც მოაგვარებს აღნიშნულ პრობლემას. ხოლო, რაც შეეხება სკვერისა და ატრაქციონის მოწყობას მოხდება საკითხის შესწავლა, შემდგომი დაპროექტების მიზნით.

12 ნობელების ქუჩის I შესახვევში სკვერისა და ატრაქციონის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

13 ბაღის ქ. N2-ის კორპუსის მოპირდაპირედ თავისუფალ სივრცეში სკვერისა და ატრაქციონის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

14 ნობელების ქუჩაზე სპორტული მოედნის გვერდით ატრაქციონის განთავსება, შესაბამისი ინფრასტრუქტურით - პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

15 თამარის დასახლებაში N5 და N6 სახლების მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

16 ისრაფილ ჯინჭარაძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია- პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა შემდგომი დაპროექტების მიზნით.

17 სვიშვესკის ქუჩაზე ბარცხანის წყლის დამცავი ჯებირის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს სამუშაოები და ეტაპობრივად განხორციელდება მდინარის მთელ სიგრძეზე.

18 კონცელიძის ქ. N47-49 მდებარედ მდინარის დამცავი ჯებირის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ მახინჯაურში მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები და სათანადო ეტაპზე მოხდება აღნიშნული მონაკვეთის შესწავლა.

19 სანიაღვრე ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ბიუჯეტში თხზების გაზრდა- პასუხად გაცნობებთ, რომ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 9 ლოკაციაზე სანიაღვრე არხების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოები.

20 ლეონიძის ქ. N15-ში, შენობის გარე ფასადის შეცვლა- მოხდება საკითხის შესწავლა.

21 ქ. ბათუმის 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ავარიული შენობების დემონტაჟი-გამაგრება-რეაბილიტაციის კონკრეტული მისამართების ასახვა- პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ავარიული შენობების დემონტაჟი-გამაგრება-რეაბილიტაცია მშენებლობა შემდეგ მისამართებზე: გენერალ კვინიტაძის ქ. N1/3/11; გრიშაშვილის ქ. N9; ჯავახიშვილის ქ. N47; კახაბრის ქ. N30; სელიმ ხიმშიაშვილის ქ. N 94/96; 26 მაისის ქ. N13; ხინიკაძის ქ. N7.

ქ. ბათუმის, მუნიციპალიტეტის საკრებულო განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის შენიშვნები:

1 2023 წლის ბიუჯეტში სპორტული კლუბ რაგბის ბაზაზე, კლუბის აუთვისებელ ცარიელ ტერიტორიაზე დახურული ტიპის სპორტული დარბაზის მშენებლობის გათვალისწინება , რომელიც იქნება ადაპტირებული და გამოყენებული სპორტის სხვადასხვა სახეობებისათვის-პასუხად გაცნობებთ, რომ მოხდება საკითხის შესწავლა.

2 ლეონიძის ქ. N2-სა და გენერალ აბაშიძის ქ. N81-ის მიმდებარედ 2023 წლის ბიუჯეტში დახურული ტიპის სპორტული დარბაზის მშენებლობა- პასუხად გაცნობებთ, რომ მოხდება საკითხის შესწავლა.

ქ. ბათუმის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

აკაკი გვიანიძის შენიშვნები:

1 ძველი ბათუმის ტერიტორიაზე ე.წ "ჭაჭის კოშკის" მიმდებარედ მინი სტადიონის მოწყობა- პასუხად გაცნობებთ, რომ მოხდება საკითხის შესწავლა.

2 მუნიციპალური სერვისცენტრების მშენებლობის პროგრამის გაგრძელება-პასუხად გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის სერვისცენტრების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არის 2018 წელს დამზადებული და პროექტები ითხოვს განახლება გადაფასებას.

3 ქალაქის ყველა უბნის თანაბარი განვითარებისათვის შემოერთებულ ტერიტორიებზე ახალგაზრდული ცენტრების მშენებლობა და ახალი სივრცეების მოწყობა-პასუხად გაცნობებთ, მოხდება საკითხის შესწავლა, მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული ლოკაციების მოძიება და მოკვლევა.

განმარტებები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკის სამსახურის განმარტებები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამტკიცებული აქვს ბათუმის მდგრადი ურბანული გადაადგილების ინტეგრირებული გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილია: საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაცია, ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საპარკინგე სივრცეების მოწყობა. ამ გეგმის მიხედვით გატარებული არის რიგი ღონისძიებები: რამდენიმე ლოკაციაზე მოეწყო ფასიანი საათობრივი საპარკინგე სივრცე, მოხდა სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაცია საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის, შეძენილი იქნა ახალი ავტობუსები, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის მარტის თვიდან მოხდება ავტობუსების პარკის სრული განახლება, რაც ხელს შეუწყობს მგზავრების უსაფრთხო და კომფორტულ გადაყვანას. რამდენიმე საკვანძო ქუჩაზე სტრატეგიული გეგმის მიხედვით მოწყობილია ავტობუსებისათვის სპეციალურად განკუთვნილი სავალი ზოლები ე.წ. „BUS LINE“. გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში უკვე მიღებულია გადაწყვეტილება ბათუმში ჰკვიანი სატრანსპორტო სისტემების განვითარებისთვის 15 მილიონი ევროს გამოიყოფის თაობაზე. რომელიც მომდევნო წლის განმავლობაში ითვალისწინებს 2019 წელს დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარებას (წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა ჩატარდა 2019-2020 წელს), კვლევის შედეგების მიხედვით ამ პროექტის ფარგლებში შესაძლოა დაიგეგმოს ავტობუსების სავალ ხაზებთან („BUS LINE“) დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებაც. პროექტი განხორციელდება გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მხარდაჭერით (შეღავათიანი სესხი). რაც შეეხება არსებულ ველობილიკებს ყოველწლიურად მიმდინარეობს მათი რეაბილიტაცია-განახლება. ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ველოსისტემის განვითარების გენერალური გეგმა, რომელშიც გაწერილია თუ როგორ უნდა მოხდეს ახალი ველობილიკების დაგეგმარება - მოწყობა.

გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგაგეგმილი ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-5 ფაზის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე მოსახლეობისათვის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციას. რისთვისაც ჯამში დაიხარჯება: 53 მლნ. ევრო - შეღავათიანი სესხი KfW ბანკიდან, 25 მლნ. ევრო - თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და 2 მლნ. ევრო თანმდევი მომსახურებისთვის -გრანტი KfW ბანკიდან. 2023 წლისთვის პროექტის ფარგლებში მოხდება აღმასრულებელ კონსულტანტთან ხელშეკრულების გაფორმება, მინიმუმ ერთი სამშენებლო-სარეაბილიტაციო დიზაინის მომზადება, სამშენებლოსარეაბილიტაციო სამშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარება და

გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისად ამ წლისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მხოლოდ საკონსულტაციო მომსახურების, სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების საავანსო ღირებულების თანხები (გადასახდელი მუნიციპალური ბიუჯეტიდან: გადასახადები, თანადაფინანსება). უშუალოდ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება მომდევნო წლებში.

2022 წელს ბათუმის მერიას, UNDP-ს და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას ბათუმში სტარტაპ ეკო-სისტემის განვითარების მიზნით. აღსანიშნავია რომ სააგენტოს ქვეშ ბსუ-ს შენობაში მოწყობილი აქვს ტექნო-პარკი, რომელიც არის თანამედროვე და ძალიან კარგად აღჭურვილი, ახორციელებს შესაბამისი უნარების შემსწავლელ პროგრამებს, იგეგმება ერთობლივი პროგრამების განხორციელებაც ბათუმის მუნიციპალური ტრანსფორმაციის პროექტის ფარგლებში.

რაც შეეხება ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენას გაწეული მომსახურების ციფრულ პროგრამულ მართვაზე გადაყვანასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური არ წარმოადგენს მოქალაქეზე სერვისის (მომსახურების) მიმწოდებელ სტრუქტურულ ერთეულს.

განმარტებები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განმარტებები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელი და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები. ასევე ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსანიშნავია რომ მუნიციპალიტეტი წლებია ახერხებს მუნიციპალური ბიუჯეტის როგორც შემოსულობების ასევე გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების (როგორც საკუთარი შემოსულობების ზრდის, ასევე ტრანსფერების მოზიდვის კუთხით) გაზრდას, წარმოდგენილი პროექტი პირველადი პროექტთან (2022 წლის 15 ნოემბერს წარდგენილი) მიმართებაში გაიზარდა 4,250.0 ათასი ლარით (დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია განმარტებითი ბარათის სახით), შესაბამისად გაგრძელდება აღნიშნული პრაქტიკა 2023 წელსაც ქვეყანაში არსებული მაკრო-ეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების გათვალისწინებით.

ბიუჯეტის პირველად პროექტთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებიდან, რომლებიც შეეხება ახალი ღონისძიებებისა და პროექტების დამატებას ბიუჯეტში, განხორციელდება შესაბამისი სამსახურებიდან ღონისძიებებისა და პროექტების შესწავლის (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა) მიერ წარმოდგენისა და შესაბამისი ფინანსური რესურსების მოზიდვის შემთხვევაში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტით საბიუჯეტო პარამეტრები გაზრდილია შემდეგი მაჩვენებლით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის პროექტი (მოქმედი რედაქცია)	2023 წლის პროექტი (ცვლილების შემდეგ)	ცვლილება +/-
შემოსულობები	275,400.0	279,650.0	4,250.0
შემოსავლები	262,400.0	266,650.0	4,250.0
გადასახადები	94,153.5	96,206.8	2,053.3
გრანტები	114,000.0	116,196.7	2,196.7
სხვა შემოსავლები	54,246.5	54,246.5	
არაფინანსური აქტივების კლება	13,000.0	13,000.0	
გადასახდელები	280,700.0	284,950.0	4,250.0
ხარჯები	190,967.4	191,164.1	196.7

შრომის ანაზღაურება	37,158.4	37,158.4	
საქონელი და მომსახურება	64,675.2	64,871.9	196.7
პროცენტი	4,858.4	4,858.4	
სუბსიდიები	15.0	15.0	
გრანტები	23,269.1	23,269.1	
სოციალური უზრუნველყოფა	15,339.3	15,339.3	
სხვა ხარჯები	45,652.0	45,652.0	
არაფინანსური აქტივების ზრდა	61,680.8	65,734.1	4,053.3
ვალდებულებების კლება	28,051.8	28,051.8	
ნაშთის ცვლილება	-5,300.0	-5,300.0	0.0

საკუთარი შემოსავლების ნაწილში დაეგზავნება შესაბამისი რეკომენდაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებს - საკუთარი შემოსულობების ნაწილის გაზრდასთან დაკავშირებით, რათა წარმოდგენილ იქნას მათი ხედვა ფინანსური გეგმის სახით.